ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 01 / 12 / 050

ქ. თბილისი 22 თებერვალი, 2012 წელი

იმის გათვალისწინებით რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, საქართველოს ეროვნული არქივის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ავეჯეულობის ერთობლივად შესასყიდად, სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ 2012 წლის 6 თებერვალს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (განცხადების №SPA120004340) გაიმარჯვა შპს „Z&Z"-ს სატენდერო წინადადებამ,

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, (შემდგომში – შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის ლაშა მერაბიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „Z&Z" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის ზვიად ნასარიძის სახით, ზემოაღნიშნული სატენდერო წინადადების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 06.02.12 №175 ბრძანებისა და სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქონლის (შემდგომში – შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა.

1.2. საქონლის შესყიდვა გულისხმობს სხვადასხვა დასახელების ავეჯეულობის შესყიდვას.

1.3. შესასყიდი ავეჯეულობის დასახელებები, ტექნიკური მახასიათებლები და მათი რაოდენობები განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ავეჯეულობის ფასთა ცხრილით (დანართი №1), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თან ერთვის მას.

II. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასთა ცხრილის (დანართი №1) შესაბამისად და შეადგენს 8106.00 (რვაათასასექვსი) ლარს, რომელიც ითვალისწინებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებისათვის საჭირო ყველა ხარჯს, მათ შორის სქონლის ტრანსპორტირების ღირებულებას, და საქართველოს კანონმდებლობით მიმწოდებლისთვის დადგენილ ყველა გადასახადს, დღგ-ს ჩათვლით.

2.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შესაბამისად შემცირდება თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიღებული ფაქტობრივი შესრულების რაოდენობა ან/და ხარისხი ნაკლებია ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე.

III. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესასყიდი საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით არსებული პერიოდის განმვლობაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სამეურნეო სამსახურის უფროსის (უფროსის მოვალეობის შემსრულებლის) ყოველი წერილობითი მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.№2

IV. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდების და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 პუნქტით გათვალისწინებული, შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლის მიერ შედგენილი დადებითი დასკვნის მქონე ინსპექტირების აქტის საფუძველზე. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს მისი სამეურნეო სამსახურის უფროსი (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი).

4.2. შემსყიდველი ორგანიზაციას უფლება აქვს არ მიიღოს მიმწოდებლის მიერ განხორციელებული შესრულება, თუ ის ზუსტად არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს.

V. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული შემოსავლებით.

5.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება მიმწოდებელს აუნაზღაურდება შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის შემდეგ, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.

5.3. ანაზღაურების ადგილია ქ.თბილისი.

VI. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

6.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება;

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

6.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

6.3.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა წუნდებული საქონლის გამოცვლის გზით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.4.2. შესაბამისი შეტყობინების მიღების შემთხვევაში დროულად აღმოფხვრას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნი წუნდებული საქონლის გამოცვლის გზით, შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

6.4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

VII. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

შემსყიდველი ორგანიზაციის სამეურნეო სამსახურის სამეურნეო მუშაკი – ჯამბულატ გიგოლაშვილი განახორციელებს მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების შესრულების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის შემოწმებას, რომლის შედეგად იგი ადგენს შესაბამის ინსპექტირების აქტს.

VIII. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს მას დამატებით ვადას ვალდებულების შესრულებისათვის. დამატებით ვადაშიც ვალდებულების შეუსრულებლობის ან არსებითად დარღვევის შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

8.3. მიმწოდებელს, მის მიერ ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების 5 დღიანი ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესაბამისი ვადაგადაცილებული ვალდებულების ღირებულების 0.3 პროცენტის ოდენობით.

8.4. შემსყიდველ ორგანიზაციას, მის მიერ ხელშეკრულების 5.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესაბამისი, გადაუხდელი თანხის 0.3 პროცენტის ოდენობით.

8.5. თუ ხელშეკრულების ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

IX. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული საქონელი იქნება შესაბამისი საქართველოში მოქმედ სათანადო სტანდარტებთან და ნორმებთან.

X. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: საომარი მოქმედებები, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი, აუცდენელი, მხარეების ნებისგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახეზეა მხარის მიერ ვალდებულების შესრულების დროებითი შეუძლებლობა, იგი უგზავნის წერილობით შეტყობინებას მეორე მხარეს ასეთი გარემოებების და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ხანგრძლივობის შესახებ. თუ მეორე მხარე არ დათანხმდა ვალდებულების შესრულების გადადებაზე შესაბამისი ხანგრძლივობით, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

XI. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებშიც ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეიძლება გაიზარდოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 პროცენტის ფარგლებში.

11.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება, 11.1. პუნქტის გათვალისწინებით, ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

XII. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2012 წლის 22 თებერვლიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

XIII. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება ავტომატურად წყვეტს მოქმედებას თუ გავიდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

13.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთი მხარის მიერ ცალმხრივად:

13.2.ა. თუ მეორე მხარე, დამატებით ვადაშიც, არ ასრულებს ან არსებითად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

13.2.ბ. სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომისას, როცა მეორე მხარე უარს ამბობს ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილ გარემოებებთან, ან შეუძლებელია შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგება.

13.2.გ. თუ მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ან თუ მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება ფორს-მაჟორული გარემოებების გამო შეუძლებელია დროებით და მეორე მხარე უარს ამბობს ვალდებულების შესრულების გადადებაზე შესაბამისი ხანგრძლივობით.

XIV. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

14.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XV. სხვა პირობები

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

XVI. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

შემსყიდველი ორგანიზაცია:
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი: ლაშა მერაბიშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.№2
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი,
ა/ა№GE46BG000000113686601, ბ/კBAGAGE22, ს/კ№202238621

შესყიდვების სამსახურის უფროსი ლ. მერაბიშვილი

მიმწოდებელი:
შპს „Z&Z"
უფლებამოსილი წარმომადგენელი: ზვიად ნასარიძე
მისამართი: ქ. თბილისი, სანზონა, კორპ.10-ვ., ბ.7
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი", ა\ა№GE07BG0000000524870400,
ბ\კ BAGAGE22; ს\კ№439392701

დირექტორი ზ. ნასარიძე

ფასების ცხრილი

პრეტენდენტი: შ.პ.ს. „Z&Z" ს.ს.ი.პ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

№	მისაწოდებელი საქონლის დახასიათება	რაოდენობა ცალობით		ერთეული ს ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	ავეჯის საწმენდი 300მლ შეფუთვით	ცალი	130	2,9	377	ქ. თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ ნინო ჩხეიძის №2	2012 წლის განმავლობაში, ეტაპობრივად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
2	ცოცხი, ბუნებრივი	ცალი	60	3,9	234		
3	იატაკის ჯოხი თხკუთხა ფორმის მასიური ხის მერქნის	ცალი	20	5,5	110		
4	ცოცხი აქანდაზით პლასტმასის	ცალი	12	14	168		
5	იატაკის მოსახეხი ჯაგრისი 75სმ ტარით	ცალი	12	8	96		
6	მაგიდის ტილო 40/40სმ, მაღალი ხარისხის	ცალი	600	0,8	480		
7	შუშის საწმენდი ტილო 50/50სმ, მაღალი ხარისხის	ცალი	150	2,4	360		
8	უნიტაზის საწმენდი სითხე 750მლ	ცალი	130	3,9	507		
9	აქანდაზი 75 სმ ტარით	ცალი	20	9	180		
10	სახეხი სინა ჩვეულებრივი	ცალი	150	0,3	45		
11	დრუბელი ჭურჭლის სარეცხი	ცალი	200	0,30	60		
12	თუნუქის ვედრო 10-15 ლიტერის მოცულობის	ცალი	10	7,00	70		
13	პლასტმასის ვედრო 10-15 ლიტერის მოცულობის	ცალი	5	4,00	20		
14	სარეცხი ფხვნილი 750 გ., ხელის ცხელი და ცივი რეცხვის	ცალი	90	3,50	315		
15	საპირფარეშოს ჯაგრისი პლასტმასის	ცალი	10	6,00	60		
16	სველი წერტილების ნაგვის ურნა დახურული უჟანგავი მეტალის	ცალი	8	35,00	280		
17	პლასტმასის ჭიქა ერთჯერადი 100ც. შეკვრა მაღალი ხარისხის	შეკვრა	1500	3,00	4500		
18	პლასტმასის თეფში ერთჯერადი 100ც. შეკვრა	შეკვრა	15	7,00	105		
19	პლასტმასის კოვზი ერთჯერადი 100ც. შეკვრა	შეკვრა	10	6,90	69		
20	პლასტმასის ჩანგალი ერთჯერადი 100ც. შეკვრა	შეკვრა	10	7,00	70		
				სულ ჯამი:	8106,00		

საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულია ლარებში. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

შ.პ.ს. „Z&Z"
დირექტორი: [illegible]

შემოსავლების სამსახური

რეგიონული ცენტრის მომსახურების სამმართველოს

შემოსავლების სამსახური

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი

439392701

გადამხდელის დასახელება

შპს Z&Z

ხელმძღვანელი

ზურაბი ალთუნაშვილი, ზვიად ნასარიძე

გადამხდელის მისამართი

საჩხერის რაიონში / სოფ.გორისა 0

ელ-ფოსტა

z.nasaridze@gmail.com

ტელეფონი

593358853

ცნობა

ეძლევა, "შპს Z&Z"-ს (ს/კ 439392701) მასზედ, რომ ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით არ არის რეგისტრირებული დღგ–ს გადამხდელად

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი: 07/03/2012

ანგარიშის რეკვიზიტები:

სსიპ "შემოსავლების სამსახური" ს მომსახურე ბანკი სს "კორ სტანდარტ ბანკი". ბანკის კოდი | 220101945

სსიპ "შემოსავლების სამსახური" ს ანგარიში GE14 KS00 0000 0000 0777 77;

სსიპ "შემოსავლების სამსახური" ს ვებ გვერდი: www.rs.ge;

ID: 574604

3417905